

შპს “ფალავანი“-ს

საწყისი ფინანსური ანგარიშგება და განმარტებები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

სარჩევი

საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3-4
საწყისი სრული შემოსავლისა და კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	5-6
საწყისი ფულადი ნაკადების ანგარიშგება	7
საწყისი ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	8-16

საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020-2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები	შენიშვნები	31-12-22	31-12-21	31-12-20
ფული და ფულის ეკვივალენტები	5	380,444	408,783	416,869
სავაჭრო მოთხოვნები	6	1,283,473	2,488,873	2,266,789
გადახდილი ავანსები		-	-	-
მარაგები		5,003,925	3,817,530	3,462,174
მზა პროდუქცია		303,749	137,134	212,249
სხვა		4,700,176	3,680,396	3,249,925
საინვესტიციო ქონება		-	-	-
სხვა მიმდინარე აქტივები	7	201,265	175,212	448,416
ბიოლოგიური აქტივები		-	-	-
თვითღირებულების მოდელით		-	-	-
გადაფასების მოდელით		-	-	-
გუდვილი		-	-	-
სხვა არამატერიალური აქტივები		4,061	4,131	4,201
ძირითადი საშუალებები		2,359,434	2,306,560	2,354,345
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		-	-	-
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		-	-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები		-	-	-
სულ აქტივები		9,232,602	9,201,089	8,952,794

ვალდებულებები

ფინანსური იჯარის ვალდებულება		-	-	-
სავაჭრო ვალდებულებები		936,296	600,738	879,182
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები		-	-	-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		120,488	-	4,980
საგადასახადო ვალდებულებები		-	-	-
გამოუმუშავებელი შემოსავალი		-	-	-
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		5,003,909	5,287,937	4,354,917
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		-	-	-
მიღებული გრანტები		-	-	-
სხვა ვალდებულებები	8	1,327,591	1,394,710	1,947,008
სულ ვალდებულებები		7,388,284	7,283,385	7,186,087
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	9	75,814	75,814	75,814
საემისიო შემოსავალი		-	-	-
გამოსყიდული საკუთარი აქციები		-	-	-
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		1,768,504	1,841,890	1,690,893
გადაფასების რეზერვი		-	-	-
სხვა რეზერვები		-	-	-
სულ საკუთარი კაპიტალი		1,844,318	1,917,704	1,766,707
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		9,232,602	9,201,089	8,952,794

საწყისი სრული შემოსავლისა და კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

2021-2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	2022 წელი	2021 წელი
ნეტო ამონაგები		7,163,822	6,907,952
საქონლის გაყიდვიდან	3	6,785,092	6,538,405
მომსახურების გაწევიდან	3	177,077	278,339
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		-	-
სხვა		201,653	91,208
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(3,690,458)	(3,371,917)
საწყისი მარაგები		-	-
მარაგების შესყიდვა		-	-
გადამუშავების დანახარჯები		-	-
საბოლოო მარაგები		-	-
საერთო მოგება		3,473,364	3,536,035
სხვა შემოსავალი		-	-
დასაქმებულთა ანაზღაურება (-)		(1,549,632)	(1,255,319)
ცვეთა და ამორტიზაცია (-)		(286,505)	(314,057)
საპროცენტო შემოსავალი		40,800	43,636
საპროცენტო ხარჯი (-)		(369,280)	(444,568)
იჯარის ხარჯი (-)		(90,747)	(91,667)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი (-)	4	(1,383,139)	(1,150,831)
სულ საოპერაციო ხარჯები		(3,638,503)	(3,212,806)
საოპერაციო მოგება		(165,139)	323,229

გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:

ფინანსური აქტივები (-)	-	-
მარაგები (-)	-	-
სხვა არაფინანსური აქტივები (-)	-	-
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	92,879	(188,884)
მიღებული დივიდენდები	-	-
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	(1,126)	16,072
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	(73,386)	150,417
მოგების გადასახადი (-)	-	-
მოგება/(ზარალი)	(73,386)	150,417
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის) გადაფასების რეზერვი	-	-
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	-	-
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ	-	-
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	(73,386)	150,417
 საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	 1,917,704	 1,766,707
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	-	-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-	-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-	580
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-	-
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1,844,318	1,917,704

საწყისი ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2021-2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით

	2022 წელი	2021 წელი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	480,071	(1,017,313)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(317,180)	266,203
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(284,029)	933,020
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(121,138)	181,910
სავალუტო კურსის ეფექტი	92,799	(189,996)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	408,783	416,869
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	380,444	408,783

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ფალავანი“ (ს/ნ 217886562) (შემდგომში „კომპანია“) რეგისტრირებულია 1996 წლის 21 სექტემბერს. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, გორი, შინდის გზატ. №19. და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო, ახმეტა, სოფ ქისტაური .

შპს „ფალავანი“-ს მესაკუთრეები არიან: 1) მერი ქიბროწაშვილი (პ/ნ 65002000200) - 40%; 2) ირაკლი კოტეტიშვილი (პ/ნ 01024002965) – 35%; 3) შპს „გრადნ გურმე“ (ს/ნ 7842509000, რუსეთის ფედერაცია) – 25%. კომპანიის დირექტორი არის გიორგი ფოჩხიძე (პ/ნ 01024010625). კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის ღვინის წარმოება ყურძნისაგან.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების მისი შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სკს) გათვალისწინებული რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

მოგების გადასახადი

სკს-ს მიხედვით საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება.

მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. იმ შემთხვევაში თუ დივიდენდები განაწილებულია 2008-2016 წლებში დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან, მაშინ მოგების გადასახადის ვალდებულება საწარმოს არ წარმოეშება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის აქციონერებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ეკონომიკურ საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და სხვა). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და გაცხადდება, როგორც სხვა გადასახადები მოგება-ზარალის ანგარიშგების სხვა არასაოპერაციო ხარჯებში.

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლე და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე.

აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია „გრძელვადიანის“ კატეგორიას მიაკუთვნებს.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები (პროცენტი):

ძირითადი საშუალებების დასახელება	სასარგებლო გამოყენების ვადა
შენობა-ნაგებობები	5%
მანქანა-დანადგარები	20%
სატრანსპორტო საშუალებები	20%
ოფისის აღჭურვილობა და ინვენტარი	20%
არამატერიალური აქტივები	4%

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა ან აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

იჯარა

იმის განსაზღვრა, შეთანხმება წარმოადგენს (ან შეიცავს) თუ არა იჯარას, ხდება იჯარის დასაწყისში, შეთანხმების არსიდან გამომდინარე. შეთანხმება წარმოადგენს ან მოიცავს იჯარას, თუ მისი შესრულება დამოკიდებულია გარკვეული აქტივის (ან აქტივების) გამოყენებაზე და შეთანხმება ასახავს აქტივის (ან აქტივების) გამოყენების უფლებას მაშინაც კი, თუ ეს აქტივი (ან აქტივები) მკაფიოდ არ არის მითითებული შეთანხმებაში.

კომპანია, როგორც მოიჯარე

აქტივის კლასიფიცირება ხდება იჯარის საწყისი თარიღით ფინანსურ ან საოპერაციო იჯარად.

იჯარა, რომელიც გადასცემს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს კომპანიას, კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად.

საოპერაციო იჯარა არის ისეთი ტიპის იჯარა, რომელიც არ შეიძლება ჩაითვალოს ფინანსურ იჯარად. საოპერაციო იჯარის გადასახდელების აღიარება ხდება საოპერაციო ხარჯად სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

კომპანია, როგორც მეიჯარე

იჯარას, რომლის დროსაც კომპანია არ გადასცემს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელს, საოპერაციო იჯარად კლასიფიცირდება. საიჯარო ქირის აღიარება ხდება შემოსავლის სახით იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მისი მიღება.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ბანკში ფულის ნაშთისგან.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული საქართველოს ბანკის ეროვნული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

3. ამონაგები

	<u>2022 წელი</u>	<u>2021 წელი</u>
	ლარი	ლარი
შემოსავალი მზა-პროდუქციის მიწოდებიდან	6,785,092	6,538,405
შემოსავალი საწარმოო მასალების მიწოდებიდან	-	-
შემოსავალი ჩამოსხმისა და შეფუთვის მომსახურებიდან	171,459	272,720
შემოსავალი საიჯარო მომსახურებიდან	5,619	5,619
შემოსავალი სუბსიდიიდან	201,653	91,208
	<u>7,163,822</u>	<u>6,907,952</u>

4. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

	2022 წელს	2021 წელს
სმფის დანაკლსი	18,975	119,112
საწვავის ხარჯი	67,229	54,375
ნიმუშების გაგზავნის ხარჯი	1,669	1,304
რეკლამის ხარჯი	495,896	64,407
ტრანსპორტირების ხარჯი	58,323	88,454
საგადასახადო ხარჯი	36,343	27,046
კომუნიკაციის ხარჯი	1,396	1,945
არრეზიდენტის მომსახურების ხარჯი	28,899	22,779
საოფისე ხარჯი	4,159	1,149
სხვადასხვა მომსახურების ხარჯი	68,357	62,073
წარმოადგენლობით ხარჯი	45,205	10,949
სადღევნო ხარჯი	28,813	22,463
დასუფთავების ხარჯი	4,426	3,876
სამეურნეო ხარჯი	36,670	25,573
ძირითად საშუალებების საექსპლუატაციო ხარჯი	19,173	18,576
შეფუთვისა და ჩამოსხმის მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები	154,559	382,009
ბუნებრივი აირის ხარჯი	3,096	3,590
ელენერგიის ხარჯი	37,974	57,676
საკანცელრო ხარჯი	2,249	2,320
საბაჟო სატრანსპორტო მომსახურების ხარჯები	4,018	100
იურიდიული მომსახურების ხარჯი	3,294	2,548
ბანკის მომსახურების ხარჯი	38,360	10,360
ფასულების სერტიფიკატების ხარჯი	27,454	25,096
მიმდინარე რემონტის ხარჯი	77,257	-
საპენსიონატის ხარჯი	30,586	25,007

ფინის ანაღზის ხარჯი	18,661	13,227
საკონსულტაციომოსახურების ხარჯი	6,983	7,373
დზინერლო მომსახურების ხარჯი	37,919	33,657
მივლნების ხარჯი	-	283
საგადსახადჯგომებისა დ საურვეების ხარჯი	-	47,472
სხვა ხარჯი	25,196	16,032
	1,383,139	1,150,831

5. ფული დ ფულის ეკვივალენტები

	<u>2022 წელი</u>	<u>2021 წელი</u>	<u>2020 წელი</u>
	ლარი	ლარი	ლარი
ნადდი ფული ეროვნულ ვალუტაში	21,066	418	4,598
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	36,325	101,731	2,316
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	323,053	306,634	409,954
	380,444	408,783	416,869

6. სავაჭრო მოთხოვნები

	<u>2022 წელი</u>	<u>2021 წელი</u>	<u>2020 წელი</u>
	ლარი	ლარი	ლარი
მოთხოვნები მიწოდებიდან რეზიდენტი პირები	-	1,263,702	925,223
1,200,252			
მოთხოვნები მიწოდებიდან არარეზიდენტი პირები	-	19,771	1,563,650
1,066,537			
	1,283,473	2,488,873	2,266,789

7. სხვა მიმდინარე აქტივები

	<u>2021 წელი</u>	<u>2021 წელი</u>	<u>2020 წელი</u>
	ლარი	ლარი	ლარი
მოთხოვნები ანგარიშვალდ. პირის მიმართ	15,315	450	1,871
საგადასახადო აქტივები	76,182	83,657	386,590
სხვა მიმდინარე აქტივები	109,767	91,105	59,955
	201,265	175,212	448,416

8. სხვა ვალდებულებები

	<u>2022 წელი</u>	<u>2021 წელი</u>	<u>2020 წელი</u>
	ლარი	ლარი	ლარი
საპროცენტო ვალდებულებები	1,313,181	1,391,164	1,946,443
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	14,410	3,546	565
	<u>1,327,591</u>	<u>1,394,710</u>	<u>1,947,008</u>

9. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2022 წლის 31 დეკემბრის და 01 იანვრისთვის შეადგენდა 75,814 ლარს და მას სრულად ფლობენ დამფუძნებლები.

10. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2023 წლის 23 სექტემბრს.

შპს „ფალავანი“-ს

დირექტორი: გიორგი ფოჩხიძე /

8. სხვა ვალდებულებები

	<u>2022 წელი</u>	<u>2021 წელი</u>	<u>2020 წელი</u>
	ლარი	ლარი	ლარი
საპროცენტო ვალდებულებები	1,313,181	1,391,164	1,946,443
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	14,410	3,546	565
	<u>1,327,591</u>	<u>1,394,710</u>	<u>1,947,008</u>

9. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2022 წლის 31 დეკემბრის და 01 იანვრისთვის შეადგენდა 75,814 ლარს და მას სრულად ფლობენ დამფუძნებლები.

10. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2023 წლის 23 სექტემბრს.

შპს „ფალავანი“-ს

დირექტორი: გიორგი ფოჩხიძე

